

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონპროექტზე "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის ინიცირების მიზეზს წარმოადგენს "საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს შესახებ" საქართველოს კანონის მიღება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

საკრედიტო ისტორიის წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის სამართლებრივი საფუძვლის უზრუნველყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითად არსს წარმოადგენს საკრედიტო ისტორიის წარმოებაზე ლიცენზიების გაცემის კანონიერი საფუძვლის შექმნა.

კანონპროექტის თანახმად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლს ემატება 85-ე ქვეპუნქტი, რომელიც ლიცენზიის ერთ-ერთ სახედ აღგენს საკრედიტო ისტორიის წარმოების ლიცენზიას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

აღნიშნული პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებით ასიგნებების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი მიღებულ იქნება პაკეტში სხვა კანონებთან, რის შედეგადაც განისაზღვრება შემოდებული სალიცენზიო მოსაკრებლის სიდიდე საკრედიტო ისტორიის წარმოებაზე და შესაბამისად, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზრდება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროების მიერ ლიცენზიაში გადახდილი თანხის სიდიდით.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, კანონპროექტის ფინანსური ზეგავლენა განისაზღვრება

აღნიშნულ კანონთან პაკეტში მიღებული საქართველოს კანონით "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე" დადგენილი სალიცენზიო მოსაკრებლის სიდიდით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი): კანონპროექტით არ განისაზღვრება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი).

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან: კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან: კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან: კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობდნენ საქართველოს საკრედიტო დაწესებულებების და USAID-ის ექსპერტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ ასეთის არსებობის შემთხვევაში:

"დ.ა)" პუნქტში აღნიშნულ ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად შემუშავდა აღნიშნული კანონპროექტი, შესაბამისად ისინი იზიარებენ აღნიშნული კანონპროექტის ძირითად არსს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი: პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

კანონპროექტის მიღება უკავშირდება საქართველოს კანონის "საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს შესახებ" მიღებას და ამასთან, იგი მისაღებია პაკეტში "საქართველოს ორგანულ კანონთან "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ" და საქართველოს კანონთან "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ"

საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის
თაობაზე.